საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7881
16/12/2022

7881-21-2-202212161616

შპს „სიბი ჯორჯიას"
მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქ. 139, ბინა N8
ელ. ფოსტა: Rene.meier@cbsa.ch

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი №27056 განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო მაჩხაანში, სამელიორაციო სისტემის და 49 000 m^3 მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წყალაღება გათვალისწინებულია შპს „საქართველოს მელიორაციის" კაპიტალში რიცხული ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან, რომელიც მდებარეობს შპს „სიბიჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 15 მეტრში.

  გზშ-ს ანგარიშის შესაბამისად, საქმიანობის ფარგლებში გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია სავეგეტაციო პერიოდში, როდესაც პიკური წყალმოთხოვნილება იზრდება, ხოლო მდინარე ალაზნის ჩამონადენი მკვეთრად არის შემცირებული. მაგისტრალურ არხზე მოცემულ მონაკვეთამდე განთავსებულია სატუმბი სადგურების კასკადი, რომელთა გაფართოების შესახებ საკითხი არაერთხელ განიხილებოდა, თუმცა ვერ განხორციელდა იქიდან გამომდინარე, რომ წყლის რესურსი სარწყავი სეზონის განმავლობაში არასაკმარისია. შესაბამისად, სისტემაზე არსებული წყალმოთხოვნილების პირობებში ზაფხულის პერიოდში (განსაკუთრებით ივლისი-აგვისტო) შპს „საქართველოს მელიორაცია" ვერ უზრუნველყოფს გზშ-ის ანგარიშში მითითებული (გვ. 23-ცხრილი) წყლის რაოდენობის მიწოდებას. ასევე, გაუგებარია სარწყავი დღეების რაოდენობა, რომელიც გზშ-ის ანგარიშის მიხედვით შეადგენს 365 დღეს. შეუძლებელია ქსელის ყოველდღიური დატვირთვა, რადგან ერთის მხრივ წყლის მიწოდება დამოკიდებულია მდინარე ალაზნის ჩამონადენზე, სისტემის წყალსამეურნეო ბალანსზე და მიმდინარე წლის წყალგანაწილების გეგმა-

გრაფიკზე, ხოლო მეორეს მხრივ გასათვალისწინებელია სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე გეგმიური საექსპლუატაციო სამუშაოების ჩატარება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხული ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან წყალაღების საკითხების დაზუსტება და შესაბამისისი დოკუმენტაციისა და ზემოაღნიშნული არხიდან წყლის აღებასთან დაკავშირებით შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო